ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №20
2016 წლის 1 ივნისი

ქ. ცაგერი

,,ცაგერის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ" ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 თებერვლის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

,, ცაგერის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ" ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 თებერვლის №6 დადგენილებაში (www. matsne.gov.ge 09/02/2016წ. სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.116.016291) შევიდეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული წესის:

1. მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის „ჟ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ჟ) ღვიძლის ციროზი დეკომპენსირებული, ასციტი."

2. მე-8 მუხლს მე-4 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 4^1 პუნქტი:

,,4^1. დახმარების მიმღებს (ბენეფიციარს) დახმარება გაეწევა ერთჯერადად, მაგრამ არაუმეტეს 100-დან 250 ლარამდე, ამ მუხლის მე-4 პუნქტის აღნიშნულ დაავადებათა ფარგლებში. „დ", „ნ", „ჟ", „რ" ქვეპუნქტებში აღნიშნულ დაავადებათა შემთხვევაში თუ სამედიცინო ფორმა 100/ა შევსებულია სპეციალიზებულ სამედიცინო დაწესებულებაში, მაშინ გასაცემი თანხა განისაზღვროს 250 ლარით. სხვა შემთხვევაში (ფორმა 100/ა შევსებულია ოჯახის ექიმის მიერ) - საბჭოს გადაწყვეტილებით."

3. მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის „ე" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე)ანგარიშ-ფაქტურა სამკურნალო დაწესებულებიდან ჩატარებული მკურნალობის შესახებ, პაციენტის მიერ გადახდილი თანხის დამადასტურებელი ქვითარი წარმოდგენილი უნდა იქნას სტაციონარიდან გამოწერის შემდეგ - 60 კალენდარული დღის განმავლობაში."

4. მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. დახმარება განისაზღვროს თვეში 100 ლარის პროდუქტით. ამ პროგრამით სარგებლობის უფლება აქვს იმ 12 კვირის ორსულებს, რომლებიც აღრიცხვაზე იმყოფებიან ცაგერის „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრში".

5. მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის ამონაწერი. (სარეიტინგო ქულა - 30 000-დან ქვემოთ).".

მუხლი 2

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ცაგერის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ბაქარ ყურაშვილი**